

ICCN

ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანთა უსაფრთხოების კვლევა

თბილისი

2021

ICCN
კონფლიქტების და მოლაპარაკების
საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანთა უსაფრთხოების კვლევა

თბილისი

2021

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი

International Center on Conflict and Negotiations (ICCN)

ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანთა უსაფრთხოების კვლევა

რედაქტორი და კვლევითი პროექტის ავტორი: ნინო ციხისთავი-ხუციშვილი

ავტორთა ჯგუფი:
ნათია ჭოჭუა
ნინო ციხისთავი-ხუციშვილი
ზაალ ანჯაფარიძე
მაია კაციტაძე

კვლევა განხორციელდა ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში (EUMM) და შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციის გლობალური პარტნიორობის (GPPAC) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროგრამის ფარგლებში. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს EUMM-ისა და GPPAC-ის პოზიციებს.

კვლევის პროცესში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართულ „ურთიერთდახმარების ჯგუფის“ კოორდინატორთა გუნდს, ასოციაცია „თანხმობას“ და, ასევე, დდ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ინტერვიუებში, დისკუსიებსა და გამოკითხვაში და გაგვიზიარა მოსაზრებები ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანთა უსაფრთხოების შესახებ.

ფოტო გარეკანზე: სოფელი გუგუტიანთკარი, 2019 წ. წყარო: https://expressnews.ge

© კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი, 2021

კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის (www.iccn.ge) მიერ EUMM და GPPAC მხარდაჭერით 2020-2021 წწ. განხორციელდა პროექტი „ქალთა გაზრდილი ჩართულობა სამშვიდობო მედიაციაში ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ“.

პროექტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი გახლდათ ადამიანის უსაფრთხოების რუქის შედგენა სამიზნე სოფლებში და ადამიანის უსაფრთხოების მდგომარეობის დადგენა 5-ბალიანი სისტემით, რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების საფუძველზე. ამ მიზნით, სამიზნე სოფლებში მცხოვრები სამოქლაქო აქტვისტი ქალების მონაწილეობით შეიქმნა „ურთიერთდახმარების ჯგუფი“. ადამიანის უსაფრთხოების საკითხებში შესაბამისი ტრენინგის გავლის, შემდეგ, ადამიანის უსაფრთხოების რუკის შედგენა ჯგუფის წევრმა ქალებმა ICCN-ის მიერ მომზადებული სპეციალური კითხვარის მეშვეობით განახორციელეს.

ადამიანის უსაფრთხოების რუკის შედგენის ფარგლებში სამუშაოები (ინტერვიუები და სიტუაციის შეფასება ადგილზე) წარმოებდა 2021 წლის მარტი-მაისის განმავლობაში. მიუხედავად პროექტის არაერთგზის მცდელობისა, რომ ამ პროცესში ჩართულიყვნენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის იქით სოფლებში მცხოვრები ოსი ქალები, ეს ვერ მოხერხდა იქ არსებული მდგომარეობის გამო, რომელიც პროექტში ჩართულობის შემთხვევაში წარმოადგენდა რისკს ამ ადამიანებისათვის. თუმცა, ცხინვალში მცხოვრებ სამოქალაქო აქტივისტ ქალებს, რომლებიც არიან სამხრეთ კავკასიის ქალ მედიატორთა ქსელის წევრები, დაეგზავნათ თარგმნილი მასალა გასაცნობად.

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად, ადამიანის უსაფრთხოების კუთხით, გამოვლენილი იქნა ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემები ცხრა სოფელში (გუგუტიანთკარი, ერგნეთი, ზარდიაანთკარი, ზემო ხვითი, ნიქოზი, ქერე, კარბი, კოშკა).

ღია კითხვარის მეშვეობით სულ 136 მოსახლე გამოიკითხა. აქდან, 34 მამრობითი, ხოლო 102 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მონაწილეთა საშუალო ასაკი შეადგენდა 44.3 წელს.

მიგვაჩნია, რომ ადამიანის უსაფრთხოების აღნიშნული რუკა იქნება ერთ ერთი ინსტრუმენტი იქ გამოვლენილი პრობლემების მოგვარებისათვის. აღნიშნული მასალა და შექმნილი „ურთიერთდახმარების ჯგუფის“ საქმიანობა ერთგვარი ხელშემწყობი იქნება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის (IPRIM) ეფექტიანი საქმიანობისათვის.

შინაარსი

შესავალი 1

კვლევის მეთოდისა და პროცედურის აღწერა 1

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემები ცხრა სოფელში 3

მონაცემების აღწერა და ანალიზი სოფლების მიხედვით 11

- სოფელი გუგუტიანთკარი 12
- სოფელი ერგნეთი 16
- სოფელი ზარდიაანთკარი 20
- სოფელი ზემო ხვითი 25
- სოფელი ნიქოზი 28
- სოფელი ქერე 33
- სოფელი კარბი 37
- სოფელი კოშკა 40
- სოფელი მერეთი 43

შეჯამება 46

შესავალი

ადამიანის უსაფრთხოება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და გულისხმობს ადამიანებისა და თემების უსაფრთხოებას და არა სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებას. ადამიანის უსაფრთხოება მოიცავს ისეთ განზომილებებს, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარი თავის უსაფრთხოდ, შიშის გარეშე ყოფნასთან, სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებების ქონასა და ღირსების შეგრძნებასთან. ადამიანზე ცენტრირებული უსაფრთხოების მიდგომა მნიშვნელოვანია კონფლიქტის შედეგების შეფასებისას, პროგრამების დაგეგმვისა და მათი განხორციელებისთვის და მშვიდობის მშენებლობის ინიციატივათა ეფექტიანობის შესაფასებლად[1]. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის #66/290 რეზოლუციის მიხედვით, ადამიანთა უსაფრთხოების მიდგომა ეხმარება წევრ სახელმწიფოებს, აღმოაჩინონ და აღმოფხვრან პრობლემები, რომლებიც ხელყოფს ადამიანთა ღირსეულ ცხოვრებას. ეს ადამიანზე ორიენტირებული ყოველმხრივი მიდგომაა, რომელიც ზრუნავს როგორც პრობლემების პრევენციაზე, ასევე ადამიანების დაცვასა და გაძლიერებაზე[2].

საქარველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში ვკითხულობთ, რომ უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეროვნული ღირებულებაა. „საქართველოს ხელისუფლება მიისწრაფვის საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სახელმწიფო საზღვრების ფარგლებში ქვეყნის, მისი მოქალაქეებისა და ინსტიტუტების უსაფრთხოების უზრუნველყოფისკენ. ამის უზრუნველსაყოფად საქართველო ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის ნორმებითა და პრინციპებით“[3] - წერია დოკუმენტში. ტექსტში არის ნახსენები მოქალაქეთა უსაფრთხოება, თუმცა ყურადღება, ძირითადად, გამახვილებულია სახელმწიფოებრივ უსაფრთხოებაზე, რომელიც ნაწილობრივ მოიცავს ადამიანთა უსაფრთხოებასაც, მაგრამ არა სრულად. გაერო-ს განვითარების პროგრამა (UNDP) ადამიანთა უსაფრთოხების მიმართულების კვლევისას ეყრდნობა 7 კომპონენტს და ცდილობს, ადამინათა უსაფრთხოების ყველა სფერო მოიცვას: ეკონომიკური, სასურსათო, ჯანმრთელობა, გარემო, პერსონალური, პოლიტიკური და სათემო/სოციალური[4]. სწორედ ამ კლასიფიკაციას დავეყრდნობით

[1] The Global Partnership for the Prevention of Armed Conflict (GPPAC). https://gppac.net/what-we-do/human-security

[2] Resolution adopted by the General Assembly on 10 September 2012 (United Nations; 66/290).

[3] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია; საქართველოს პარლამენტი; 2011 წელი.

[4] United Nations Development Programme, 1994, 'New Dimensions of Human Security', Human Development Report 1994, New York, Oxford University Press.

წინამდებარე კვლევაში, რომელიც ცდილობს დაადგინოს, თუ უსაფრთხოების რომელ სფეროებში აქვთ ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე ცხრა სოფელში მცხოვრებ ადამიანებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნები.

ადამიანთა უსაფრთხოება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, შესაბამისად, მისი დარღვევის თითოეული მაგალითი ყურადსაღებია. სწორედ ამიტომ, კვლევის პროცესში, ყოველ პასუხს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით, პრობლემა დასახელდებოდა ერთი ადამიანის, თუ გამოკითხულთა უმრავლესობის მხრიდან. მონაცემებში ინდივიდუალური საჭიროებები ისევე არის ასახული, როგორც სოფლის საერთო სურათი.

გამოყენებულ ტერმინთა განმარტება:

1. ბორდერიზაცია - მავთულხლართების, ღობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერის მონტაჟის პროცესი, რომელიც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიების მიმდებარედ რუსულმა მხარემ დაიწყო და დღემდე გრძელდება;
2. საოკუპაციო ხაზი - ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზი;
3. ბულინგი - ჩაგვრა, აბუჩად აგდება.

კვლევის მეთოდისა და პროცედურის აღწერა

ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზი ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში, ადამიანის უსაფრთხოების კვლვევის მიზნით, ცხრა სოფელში (გუგუტიანთკარი, ერგნეთი, ზარდიაანთკარი, ზემო ხვითი, კარბი, კოშკა, მერეთი, ნიქოზი და ქერე) ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვა მოიცავდა, როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ნაწილს. გამოკითხვები მოსახლეობასთან პირისპირ კომუნიკაციით ჩატარდა. ეს მეთოდი დღეს გავრცელებულ ონლაინ ჩატარებულ კითხვარებზე უპირატესია, ვინაიდან მეტია ალბათობა, რომ რესპნოდენტმა კარგად გაიაზრა ყოველი კითხვის შინაარსი და შესაძლო გაუგებრობა თავიდან იქნა აცილებული. კვლევაში გამოყენებულ იქნა არაალბათური შერჩევის მეთოდები, რადგან კვლევის სამიზნე ჯგუფი საზოგადოების მოწყვლად ფენას მიეკუთვნება და მის წევრებთან დაკავშირება საკმაოდ რთულია. რესპონდენტების მოსაძიებლად მივმართეთ ხელმისაწვდომი და თოვლის გუნდის შერჩევის სახეებს. რესპონდენტებთან დაკავშირება

კვლევის მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენდა. კვლევა ჩატარდა ხელმისაწვდომი შერჩევით. დამატებით სიძნელეს წარმოადგენდა ის გარემოება, რომ ბევრი მათგანი უარს აცხადებდა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი უკავშირდებოდა ნაკლებ მოტივაციას; ისინი პირდაპირ ამბობდნენ, რომ ვერ ხედავდნენ აზრს, დრო და ენერგია დაეხარჯათ იმაში, რასაც მათთვის სასიკეთო შედეგი შესაძლოა არ მოჰყოლოდა. ბევრმა რესპონდენტმა ანკეტის შევსება შუაში შეწყვიტა.

ყოველი რესპონდენტი ინფორმირებული თანხმობის შემდეგ ხდებოდა კვლევის მონაწილე. კვლევის ყოველი მონაწილის მიერ მოწოდებული პერსონალური მონაცემის კონფიდენციალურობა დაცულია. მონაცემების დამუშავების ეტაპზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ მკვლევართა მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის. ანგარიშში წარმოდგენილ შედეგებში შეუძლებელია რესპონდენტთა იდენტიფიცირება.

ღია კითხვარის მეშვეობით სულ 136 მოსახლე გამოიკითხა. აქდან, 34 მამრობითი, ხოლო 102 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მონაწილეთა საშუალო ასაკი შეადგენდა 44.3 წელს. რაოდენობრივი გამოკითხვით სულ 120 შევსებული ანკეტა შეგროვდა. რაოდენობრივ კვლევაში ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უსაფრთხოებასთან დაკავშირებული 39 დებულება უნდა შეეფასებინა 1-დან 5 ქულამდე შკალაზე. არსებულ შკალაზე პრობლემა მისი სიმწვავის მიხედვით ფასდებოდა. ციფრით 1 აღინიშნებოდა პრობლემის დაბალი სიხშირე და ინეტენსივობა, ხოლო 5-ით აღინიშნებოდა პრობლემის მაღალი სიხშირე და ინტენსივობა, 2, 3, და 4 ქულები კი მათ შორის შესაბამისად ნაწილდებოდა. რაოდენობრივი კითხვარი აერთიანებდა სამ თემატურ ბლოკს: სიღარიბე/ძალადობა; ეკოლოგიური პრობლემები; ინფექცია და სხვა დაავადებები. მონაცემები იყო შეყვანილი და დამუშავებული სოციალური კვლევის მეთოდებისთვის შექმნილი კომპიუტერული პროგრამაში IBM SPSS Statistics 21.0.

კვლევის სუსტი მხარე - კვლევის მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, კვლევის შერჩევის ერთობლიობის პარამეტრები თანაბრად ვერ ასახავს გენერალური ერთობლიობის პარამეტრებს, რის გამოც, შეუძლებელია კვლევის შედეგები განვაზოგადოთ მთელ პოპულაციაზე.

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი ყველაზე მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემები ცხრა სოფელში

ქვემოთ ჩამოთვლილი პრობლემები დალაგებულია გაერო-ს განვითარების პროგრამის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის მიხედვით, თუმცა, ზოგჯერ, კატეგორიზაციის მკაცრად დაცვა შეუძლებელი იყო, ვინაიდან ცალკეული პრობლემა ერთდროულად რამდენიმე სფეროს მოიცავდა.

პირველ დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა 1) აღწერილია ზოგადი პრობლემა - „ცხოვრების პირობების გაუარესება“, რომელიც, თავის მხრივ, მრავალ სფეროს შეიძლება მოიცავდეს. მაგ. პოლიტიკურს, ეკონომიკურსა თუ სოციალურს. როგორც დიაგრამიდან ვხედავთ, ყველაზე მაღალი 5 ქულით შეაფასა გამოკითხულთა 61,5%-მა, 3 ქულით 14,5 %-მა, ხოლო 4 ქულით 17,9%-მა. ეს პროცენტული განაწილება იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული პრობლემა საკმაოდ მწვავეა სოფლის მაცხოვრებელთათვის.



დიაგრამა 1. ცხოვრების პირობების გაუარესება.

ეკონომიკურ უსაფრთხოებაში ერთიანდება შემდეგი აქტუალური პრობლემები: სიღარიბე/გაჭირვება, ვალუტის გაუფასურება, ფასების მკვეთრი ზრდა, უმუშევრობა და კრედიტების გაძვირება.



დიაგრამა 2. სიღარიბე/გაჭირვება.

როგორც დიაგრამა 3 აღწერს, ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლების მაცხოვრებლები საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ ვალუტის გაუფასურების ფაქტს. გამოკითხულთა შორის ამ საკითხს 65 % აღიქვამს, როგორც ძალიან მაღალი ინტენსივობის პრობლემას.



დიაგრამა 3. ვალუტის გაუფასურება.

ფასების მკვეთრი ზრდა ასევე აქტუალური პრობლემაა რესპონდეტებისათვის. გამოკითხულთა 66,7% 5 ქულიან შკალაზე მაქსიმალური 5 ქულით აფასებს ამ პრობლემის სიმწვავეს.



დიაგრამა 4. ფასების მკვეთრი ზრდა.

რესპონდეტების 98,3 % უმუშევრობის პრობლემას აფასებს 3 ან მეტი ქულით, დანარჩენი 1,7% თავს იკავებს პასუხის გაცემისგან. უმუშევრობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, რომელიც სხვა ეკონომიკურ პროლემების სათავეა ხშირად.



დიაგრამა 5. უმუშევრობა.

გამოკითხულთა დიდი ნაწილი კრედიტების გაძვირებასაც საკმოდ მტკივნეულად აღიქვამს და მაქსიმალური -5 ქულით აფასებს პრობლემის სიმწვავეს რესპონდენტთა 57,3%.



დიაგრამა 6. კრედიტების გაძვირება.

დიაგრამები 7, 8 და 9 აღწერენ სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით არსებულ პრობლემებს.

როგოგრც დიაგრამებიდან (7 და 8) ჩანს, ნაკლული ან არასწორი კვების პრობლემა აქტუალურია ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში. გამოკითხულთა შორის ნახევარზე მეტი საშუალო ან მაღალი ინტენსივობის პრობლემად ასახელებენ აღნიშნულს.



დიაგრამა 7. შიმშილი / არასაკმარისი კვება.



დიაგრამა 8. არასწორი ან ნაკლული კვება.

სასმელი წყლის ხარისხს, როგორც მაღალი ინტენსივობის პრობლემას 3 ქულას და მეტს ანიჭებს გამოკითხულთა 49,6 %. ნახევარზე მცირედით მეტისთვის, როგორც ჩანს, არ არის აღნიშნული პრობლემა აქტუალური, თუმცა, ვინაიდან საქმე სასიცოცხლოდ აუცილებელ ნივთიერებას ეხება, საყურადღებოდ მივიჩნიეთ ეს მონაცემი.



დიაგრამა 9. სასმელი წყლის ხარისხი.

პოლიტიკური უსაფრთხოების სიაში მოხვდა შემდეგი აქტუალური პრობლემები: (იხ, დიაგრამა 10, 11, 12 და 13).

გარეშე აგრესიის საფრთხეს 3 და მეტი ქულით აფასებს რესპონდენტთა 87,2 %, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.



დიაგრამა 10. გარეშე აგრესია.

ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში, ცხადია, ძალიან მწვავე პრობლემა ოკუპაციაა. მაქსიმალური 5 ქულით აფასებს პრობლემის ინტენსივობას გამოკითხულთა 80,3%, 14,5 % კი 3 ან 4 ქულით აფასებენ პრობლემის სიმწვავეს.



დიაგრამა 11. ოკუპაცია.

გამყოფი ხაზების არსებობას ყველაზე მწვავედ მიიჩნევენ სოფლების მკვიდრნი. 97,4 % ამ პრობლემას ყველაზე მაღალი 5 ქულით აფასებენ.



დიაგრამა 12. გამყოფი ხაზების არსებობა.

ზემოთ აღწერილ პრობლემას ლოგიკურად მოსდევს სავაგულების დაკარგვის საკითხი. ამ პრობლემასაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი აქვს. 3 ან მეტი ქულით აფასებს პრობლემის სიმწვავეს რესპონდენტთა 78,6 %.



დიაგრამა 13. სავარგულების დაკარგვა.

ჯანმრთელობის უსაფრთხოების კუთხით გამოიკვეთა შემდეგი ორი პრობლემა (იხ. დიაგრამა 13 და 14).



დიაგრამა 13. კორონავირუსით გამოწვეული პრობლემები.

კოვიდ-19 ით გამოწვეული პრობლემები აქტუალური აღმოჩნდა გამოკითხულთა 62,4 % -სთვის, ხოლო 28,2%-მა კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავი შეიკავა.



დიაგრამა 14. მედიკამენტების დეფიციტი.

მედიკამენტების დეფიციტით გამოწვეული პრობლემებს 3 და მეტი ქულით აფასებს რესპონდენტთა 68, 4%.

მონაცემების აღწერა და ანალიზი სოფლების მიხედვით

ამ თავში წარმოდგენილია თითოეულ სოფელში ჩატარებული ღია კითხვარის მეშვეობით მიღებული მონაცემების აღწერა და მათი ანალიზი. გამოკთხული სოფლებიდან 4-ში, სადაც რესპონდენტთა რაოდენობა იყო 15-ზე მეტი (სოფელი ერგნეთი, სოფელი ზარდიაანთკარი, სოფელი ნიქოზი), ასევე, მიმოხილული იქნება რაოდენობრივი კითხვარის შედეგებიც.

სოფელი გუგუტიანთკარი

„მინდა დაცულად ვიგრძნოთ თავი“
(სოფ. გუგუტიანთკარის მკვიდრი)

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 92 კომლი - 253 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). ბოლო აღწერა ჩატარებულია 2014 წელს. იხ. ცხრილი:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	228	108	120
2014[1]	▼ 144	71	73

კვლევის ფარგლებში, სოფელ გუგუტიანთკარში სულ 9 მოსახლე გამოიკითხა. გამოკითხულთა შორის მინიმალური ასაკი იყო 26, ხოლო მაქსიმალური 62. ასაკთა საშუალოა 44.8 წელი. მათ შორის მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო მხოლოდ 2, ხოლო დანარჩენი 7 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. განათლების მიხედვით, შემდეგია განაწილება: უმაღლესი განათლება - 4 ადამიანი, საშუალო განათლება ასევე 4 ადამიანი და 1 ადამიანს აქვს პროფესიული განათლება. დასაქმებულია 3 ადამიანი, ხოლო დაუსაქმებელია 6 ადამიანი.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

ღია შეკითხვებზე რესპონდენტების პასუხების მიხედვით ირკვევა, რომ სოფელ გუგუტიანთკარში ოკუპაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს მიიჩნევენ ყველაზე მწვავედ და მნიშვნელოვნად. ფაქტობრივად, ყოველი პასუხი აღნიშნულ საკითხს შეეხებოდა:

- დაკავების და გატაცების საფრთხის გამო გადაადგილების შიში და შეზღუდვა (3 პასუხი);
- ბორდერიზაცია (3 პასუხი);
- საკუთარ ნაკვეთებზე წვდომის შეუძლებლობა (2 პასუხი);
- ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის გადაკვეთის გამო ადამიანების უკანონო დაჭერა (2 პასუხი);
- ხანძარი მეზობელი ტეროტორიიდან (2 პასუხი);

- შიში სროლების გამო (2 პასუხი);
- თემს საფრთხეს უქმნის თავისუფლად გადადგილებული პირები ოკუპირებული ტერიტორიებიდან;
- შეიარაღებული თავდასხმა;

არსებული პროგრამები და სერვისები

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროგრამებითა და სერვისებით კმაყოფილების შესახებ რესპონდენტები გამოთქვეს შემდეგი მოსაზრებები: გამოკითხულთაგან არც ერთი არ არის სრულად კმაყოფილი არსებული პროგრამებით. რამდენიმე მათგანი (3) გამოხატავს ნაწილობრივ კმაყოფილებას, თუმცა აღნიშნავს რომ უსაფთხოებისთვის ეს საკმარისი არ არის. რესპონდეტები ასახელებენ (2 პასუხი) 24 საათიან პატრულირებას, ახსენებენ საგუშაგოებს *(„არის ორი ბლოკ-საგუშაგო“),* თუმცა, ასევე აცხადებენ, რომ *„პოლიცია უძლურია განახორციელოს ადამიანთა უსაფრთხო გადაადგილების დაცვა“.* ორი რესპონდენტი სრულ უკმაყოფილებას გამოთქვამს სერვისებისა და პროგრამების მიმართ. ერთ-ერთი მათგანი ამბობს: „არანაირი პროგრამა არ ხორციელდება, ინსტანციები უძლურები არიან გაატარონ რაიმე სერიოზული ღონისძიება, რათა ადამიანებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ“.

შემდეგი შეკითხვით რესპონდენტებს სთხოვდნენ, დაესახელებინათ ისეთი პროგრამები და სერვისები, რომლებიც ხელს შეუწყობდა უსაფრთხოების გაზრდას თემში/სოფელში. ამ კითხვაზე 4-მა რესპონდეტმა უსაფრთხოების გაზრდის საშუალებად საოკუპაციო ხაზთან დაცვის გაძლიერება დაასახელა; ვიდეო კამერების დამონტაჟება გამყოფ ხაზთან 3-მა ადამიანმა ახსენა, 2-მა მოითხოვა საგუშაგოების დამატება. იხილეთ სხვა პასუხები:

- „გვსურს ისეთი საერთაშორისო პროგრამების შემუშავება, რომელიც აიძულებს მომხვდურთ დატოვონ ტერიტორიები“;
- „დაიწყოს მოლაპარაკებები რუსულ მხარესთან, რათა შეწყვიტონ პროვიკაციული შემოჭრები, ჩვენს ტერიტორიაზე“;
- „გაკონტროლდეს სოფლის ისეთი ტერიტორიები, რომლებიც ჯერ არ კონტროლდება“.

როგორც პასუხებიდან ჩანს, სოფლის მოსახლეობა შველას ელოდება სახელმწიფოსგან. აშკარაა, რომ არსებული პროგრამები თუ სერვისები ვერ უზრუნველყოფენ სოფლის მაცხოვრებელთა უსაფრთხოებას. სერვისებისა და პროგრამებით ინფორმირებულობასთან და ჩართულობასთან დაკავშირებულ კითხვაზე, 4 რესპონდენტი პასუხობს, რომ არ არის საკმარისი ინფორმაცია და ჩართულობა; 2

რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ნაწილობრივ არის ინფორმირებული, ხოლო 2 მიიჩნევს რომ ინფორმირებულობა და ჩართულობა საკმარისია. ამ პრობლემის გამოსწორებისთვის, გამოკითხულები შემდეგ წინადადებებს აჟღერებენ: „კარგი იქნება, თუ ჩატარდება მეტი ტრენინგი ინფორმაციის გავრცელებისთვის“; „საჭიროა მეტი კომუნიკაცია და ურთიერთობა მოსახლეობასა და შესაბამის უწყებებს შორის“; „საჭიროა ორმხრივი ეკონომიკის ფუნქციონირება“.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

რესპონდენტები ასახელებენ შემდეს უწყებებს, რომელთაც ევალებათ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარება:

- სამთავრობო სტრუქტურები (7 პასუხი);
- არასამთავრობო ორგანიზაციები (5 პასუხი);
- უსაფრთხოების სამსახური (2 პასუხი);
- საერთაშორისო ორგანიზაციები;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- საგარეო საქმეთა სამინისტრო;
- საერთაშორისო ორგანიზაციების სამშვიდობო სადამკვირვებლ მისია;
- პოლიცია/ ადგილობრივი სამართალდამცავები.

პასუხებიდან ვხედავთ, რომ 9 გამოკითხულიდან 7 ზოგადად, სამთავრობო სტრუქტურების ვალდებულებას ხედავს არსებული პრობლემების მოგვარებაში. ზოგიერთი გამოკითხულთაგანი კონკრეტულად ასახელებს სტრუქტურებს.

დამატებითი კომენტარი

ამ ბლოკში, რესპონდენტები გამოთვამენ საკუთარ სურვილებს და რეკომენდაციებს უკეთესი და მეტად უსაფრთხო ცხოვრებისთვის:

- „მიეცით ადამიანებს ურთიერთობის საშუალება, ყველაფერი მოგვარებადია, თუ ცუდად არ ჩაერევიან უაზრო პოლიტიკოსები მეგობარი და მონათესავე ერების ურთიერთობაში“;
- „სურვილი მაქვს, მქონდეს მეტი უსაფრთხოება (2 პასუხი)“;
- „მეტი ყურადღება სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების მხრიდან(2 პასუხი);
- „საჭიროა ბევრი ცოცხალი ურთიერთობა (2 პასუხი)“;
- „მინდა დაცულად ვიგრძნოთ თავი“;

- „გაიხსნას ბაზრობები, სავაჭრო ცენტრები და აღდგეს ურთიერთობა ადაამიანებთა შორის“;
- „იმედია ეს გამოკითხვა გამოიღებს კონკრეტულ შედეგებს და მეტი ყურადღება მოემართება ჩვენკენ“.

სოფელი ერგნეთი

„ამ წუთასაც ისვრიან და ისმის ძლიერი აფეთქებების ხმა,
რაც ძალიან მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე
და ყოველდღიურ ცხოვრებაზე“.

2021 წლის მდგომარეობით სოფელ ერგნეთში ცხოვრობს 190 კომლი - 683 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). ჩატარებული აღწერების მიხედვით, იხილეთ სოფლის მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება წლების მიხედვით.

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	639	301	338
2014[1]	▼ 457	225	232

ჩვენი კვლევის ფარგლებში ერგნეთში სულ გამოიკითხა 34 ადამიანი, აქედან 25 მდედრობითი, ხოლო 9 მამრობითი სქესის წარმომადგენელი. გამოკითხულთა ასაკი მერყეობს 19-დან 77-მდე, საშუალო ასაკი - 48,5 წელი. განათლების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: უმაღლესი განათლება -19, პროფესიული - 1, საშუალო - 12, სტუდენტი - 2. გამოკითხულთაგან 10 აღნიშნავს რომ დასაქმებულია (აქედან 5 თვითდასაქმებული), ხოლო დაუსაქმებელთა რაოდენობა 24-ს შეადგენს.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

დემოგრაფიული მონაცემების დასახელების შემდეგ, რესპონდენტებმა ჩამოთვალეს ის ძირითადი საჭიროებები, რაც აქვთ უსაფრთხოების კითხვის შედეგად გამოვლინდა შემდეგი პასუხები: მაღაზიის უქონლობა სოფელში (23 პასუხი); აფთიაქის პრობლემა (23 პასუხი); უინტერნეტობა (11 პასუხი); საცხობის არქონა (9 პასუხი); საბავშვო ბაღის არ არსებობა (6 პასუხი); ეკონომიკურ რესურსებთან წვდომის ნაკლებობა (2 პასუხი); ხშირი აფეთქებები (2 პასუხი); დაუცველობის გრძნობა (2 პასუხი); ტრანსპორტის გრაფიკის პრობლემა (2 პასუხი); სპორტული მოედანი (3 პასუხი); ინფორმაციის ნაკლებობა (3 რესპონდენტი); სპორტული დარბაზი (2 პასუხი); საინფორმაციო დაფა (1 პასუხი), სილამაზის სალონი (1 პასუხი). როგორც პასუხებიდან ვხედავთ, მოსახლეობის მიერ შეფასებული პრობლემები საკმაოდ მრავალფეროვანია და სხვადასხვა საკითხებს შეეხება. სოფელში მაღაზიისა და აფთიაქის არ არსებობა უდავოდ მნიშვნელოვანი პრობლემაა,

რომელიც არის გამოწვეული მისი გეო-პოლიტიკური მდგომარეობით (ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე ტერიტორია). ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოფლის მაცხოვრებლებისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ჯანმრთელობისა და სასურსათო უსაფრთხოების საკითხებიც.

თემში არსებულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პროგრამებითა და სერვისებით კმაყოფილების შესახებ საკმაოდ განსხვავებული პასუხები იყო დასახელებული. 5-მა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კმაყოფილია ე.წ. „მთის სტატუსის“ პროგრამებით. მეტ-ნაკლებად კმაყოფილია 12 რესპონდენტი. 18-მა აღნიშნა, რომ არ აქვს ინფორმაცია პროგრამების შესახებ და შესაბამისად, ვერც მათ ეფექტიანობას შეაფასებენ. სოფელ ერგნეთის ერთ-ერთი მაცხოვრებელი გვიზიარებს საკუთარ წუხილს: „ჩვენ გვიცავს სპეცნაზი საზღვართან, თუმცა, სროლის დროს არ არის გამორიცხული, ვინმე დაიჭრას ან დაიღუპოს“. რამდენიმე პასუხის მიხედვით (4) კმაყოფილები არ არიან, ვინაიდან, უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა.

კითხვაზე: „ადამიანის უსაფრთხოების კუთხით რა პროგრამები და სერვისები სჭირდება თემს/სოფელს ამჟამად და უახლოეს მომავალში?“ გამოვლინდა შემდეგი პასუხები:

13 რესპონტენტი აღნიშნავს, რომ სოფელში არაფერია და სჭირდება ყველაფერი; ინტერნეტს ასახელებს გამოკითხულთა შორის 10 ადამიანი, კვლავ ასახელებენ მაღაზიასა (12) და აფთიაქს (10); საცხობი (4), ადგილობრივი პრესის არსებობა (3 პასუხი); საბავშვო ბაღი; ბიბლიოთეკა; ინტერნეტ სივრცე; ხალხის დასაქმებისთვის საჭირო/საზოგადოებრივი სივრცეების გამოყოფა (3 პასუხი), შიდა გზების მოწესრიგება, ინფორმირებულობის გაზრდა (8 პასუხი); პატრულირება; ტრანსპორტით გადაადგილება თავისუფლად; ქალების გააქტიურებისთვის მეტი პროგრამები; საჭიროა მეტი შეხვედრები და ყურადღება (2 პასუხი).

„მთავრობა თითქოს ზრუნავს, თუმცა მეტი ჩართულობაა საჭირო, რათა საკმარისად დაცულად ვიგრძნოთ თავი“, „ბევრი სერვისი გვჭირდება, ხალხის ეკონომიკურ გაძლიერებაზე უნდა იფიქრონ“ - ამბობენ სოფლის მკვიდრნი.

იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ინფორმირებულნი არიან, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა. 26 რესპონდენტი (34-დან) აღნიშნავს, რომ მათ არ მიეწოდებათ საკმარისი ინფორმაცია არსებულ პროგრამებსა და სერვისებზე. უმეტესობამ არ იცის არც პროგრამებისა და არც სერვისების შესახებ - მსგავსი შინარსის პასუხი დააფიქსირა 10-მა გამოკითხულმა. არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად თემის მოსახლეობა გვთავაზობს შემდეგ რეკომენდაციებს: გაიზარდოს შეხვედრების სიხშირე

(10 პასუხი); „სოფლის ცენტრში გამოაკრან სიახლეები და წავიკითხავთ (2 პასუხი); ხშირად ჩატარდეს გამოკითხვები საჭიროებების გამოვლენის მიზნით (3 პასუხი); კონკრეტულ პიროვნებას, ან პირთა ჯგუფს დაევალოს ინფორმაციის გავრცელებაა თემში (3 პასუხი).

თემის აზრით, პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები შემდეგია:

- ცენტრალური ხელისუფლება (23 პასუხი);
- ადგილობრივი თვითმმართველობა (18 პასუხი);
- არასამთავრობო ორგანიზაციებმა (8 პასუხი);
- კონფლიქტის მოგვარებაში ჩართული უწყებები (3 პასუხი);
- „ყველა უწყება, ვისაც ევალება ადამიანის დახმარება (6 პასუხი);
- სხვა (1 პასუხი).

დამატებითი კომენტარის ბლოკში, გამოკითხულები გამოხატავენ საკუთარ სათქმელსა და სადარდებელს: „უნდა გააქტიურდნენ სახელმწიფო უწყებები, დაინტერესდით მოსახლეობის მდგომარეობით, შეეცადეთ დაასაქმოთ სხვადასხვა სფეროში, დაინტრესდით ქალთა ყოფითი მდგომარეობით“; „აუცილებელია ხელი შეუწყოთ დასაქმებას განსაკუთრებით ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში“; დაინტერესება უნდა გაიზარდოს ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლებში ხალხის მდგომარეობით (2 პასუხი), „ყურადღება გვიჭრდება, რათა ყოფა შეგვიმსუბუქდეს - მიზანმიმართული ყურადღება!“; „ამ წუთასაც ისვრიან და ისმის ძლიერი აფეთქებების ხმა, რაც ძალიან მოქმედებს ჩვენს ფსიქიკაზე და ყოველდღიურ ცხოვრებაზე“; „უნდა გაატიურდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები (ორი პასუხი); „მყავს ლოგინად ჩავარდნილი მეუღლე, ესაჭიროება გამოკვლევები და მედიკამენტები, რისი საშუალებაც არ მაქვს“.

რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად სფელ ერგნეთში გამოკვეთილი მაღალი და საშუალო სიმწვავის პრობლემები

სოფელ ერგნეთში დასახელებული მაღალი სიმწვავის პრობლემები:

პრობლემა	რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც პრობლემის სიმწვავე 4 ან 5 ქულით შეაფასეს	ჯამში რესპონდენტების რაოდენობა
1. გამყოფი ხაზების არსებობა	29	30
2. ოკუპაცია	28	30
3. უმუშევრობა	24	30

4.	გარეშე აგრესია	20	30
5.	ვალუტის გაუფასურება	17	30
6.	ფასების მკვეთრი ზრდა	16	30

სოფელ ერგნეთში დასახელებული საშუალო სიმწვავის პრობლემები:

	პრობლემა	**რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც პრობლემის სიმწვავე 3 ქულით შეაფასეს**	**ჯამში რესპონდენტების რაოდენობა**
1.	უხარისხო სამედიცინო სერვისი	22	30
2.	მედიკამენტების დეფიციტი	17	30
3.	კრედიტების გაძვირება	15	30

სოფელი ზარდიაანთკარი

„სახლები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია,
გვაწვიმს, კედლები ინგრევა. ყველა უწყებას მივმართეთ,
არავინ გამოჩნდა ჩვენი პატრონი“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 33 კომლი - 129 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). საყოველთაო აღწერების შედეგად მიხედვით მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება წლების მიხედვით იხ. ცხრილში:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[4]	117	54	63
2014[1]	▼28	14	14

კვლევის ფარგლებში სოფელ ზარდიაანთკარში სულ გამოიკითხა 27 რესპონდენტი, რომელთა ასაკი მერყეობდა 20-დან 72 წლამდე, საშუალო ასაკი 51.4 წელი. გამოკითხულთაგან მამრობითი სქესის წარმომადგენელი იყო 12 ადამიანი, ხოლო მდედრობითის შესაბამიდად, 15 ადამიანი. განათლების მიხედვით შემდეგია გადანაწილება: საშუალო განათლება - 14, პროფესიული განათლება (ტექნიკუმი) – 6 ადამიანი, უმაღლესი განათლება - 5, ამჟამად სტუდენტი - 2. გამოკითხულთაგან დასაქმებულია მხოლოდ 3 რესპონდენტი, ხოლო დანარჩენი 24 ადამიანი დაუსაქმებელია.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

სოფლის მოსახლეობას არაერთი მწვავე და მნიშვნელოვანი პრობლემა აწუხებს უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროებში. დასახელდა შემდეგი პრობლემები: ოკუპაცია (9 პასუხი); გამყოფი ხაზის არსებობა (7 პასუხი); ომის შედეგად დაზიანებული, საცხოვრებლად საფრთხის შემცველი სახლები (6 პასუხი); მშვიდი ცხოვრების შეზღუდვა, უფლებების დარღვევა (4 პასუხი); გარეშე აგრესიის მუდმივი საფრთხე; დაუცველობის განცდა (2 პასუხი); გაზრდილი კრიმინალი, გადაადგილების შეზღუდვა, მუდმივი შიშისა და სტრესის ქვეშ ცხოვრება; სათვალთვალო კამერების არქონა.
დასახელდა სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, რომლებსაც მწვავედ აღიქვამს მოსახლეობა: საცხოვრებელი პირობების გაუარესება (13 პასუხი); სოციალური სერვისების მიუწვდომლობა (7 პასუხი); შიმშილი (2 პასუხი) არასაკმარისი კვება (3 პასუხი); ახალგაზრდების მიგრაცია (4 პასუხი); უმუშევრობა (8 პასუხი); კრედიტების გაძვირება; მიწის სავარგულების დაკარგვა (2 პასუხი); სიღარიბე და გაჭირვება (11

პასუხი); კოვიდ-19-ის პანდემია (8 პასუხი); უინტერნეტობა (3 პასუხი); ფასების ზრდა (4 პასუხი); სარწყავი წყლების გაუმართაობა (2 პასუხი); მედიკამენტების დეფიციტი (2 პასუხი); სოფლის მეურნეობის განვითარების შეფერხება; უვარგისი სასმელი წყალი; წვდომა განათლებაზე (3 პასუხი); ვალუტის გაუფასურება; ჯანდაცვის სერვისების მიუწვდომლობა ან არარსებობა (6 პასუხი); ომის შემდგომ განვითრებული ეკონომიკური კრიზისი (3 პასუხი); ერთ-ერთი მოსახლე შემდეგნაირად გამოხატავს საკუთარ საჭიროებას - „არაფერი გაგვაჩნია"; სოფელში ფსიქოლოგის არ არსებობა. საინტერესოა, ერთ-ერთი რესპონდენტის მიერ დასახელებული პრობლემა - ფსიქოლოგის საჭიროების შესახებ. სოფელში, სადაც მრავალი სოციალური, ეკონომიკური, თუ პოლიტიკური პრობლემაა, ცხადია ეს უარყოფითად აისახება ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზეც, შესაბამისად სამედიცინო დახმარებასთან ერთად, აუცილებელია სოფლის მაცხოვრებლების ფსიქოლოგიური მხარდაჭერაც.

არსებული პროგრამები და სერვისები

ბლოკის პირველი კითხვა ზომავდა არსებულ პროგრამებითა და სერვისებთით კმაყოფილების მაჩვენებს. გამოვლინდა შემდეგი პასუხები: გამოკითხულთაგან 12 აცხადებს, რომ არსებული პროგრამები საკმარისი არ არის ადამიანის უსაფრთოების უზრუნველსაყოფად. 7 რესპონდენტი ნაწილობრივ კმაყოფილებას გამოხატავს არსებული სერვისების მიმართ. აღსანიშნავია ერთ-ერთი მოსახლის პასუხი, რომელმაც აღნიშნა რომ სანამ მოსახლეობამდე მოაღწევს ინფორმაცია სოციალური პროგრამების შესახებ, ამასობაში ეს პროგრამები უკვე დასრულებულია და შესაბამისად, ვერ სარგებლობენ. აქ თავს იჩენს ინფორმაციულობის ნაკლებებობის პრობლემა, რომელზეც გამოკითხულთაგან 6 საუბრობს. 9 რესპონდენტი წუხს, რომ სოფლის მოსახლეობას უკიდურესად უჭირს და ითხოვენ მეტ ყურადღებას ხელისუფლებისგან.
კითხვაზე, თუ რა პროგრამებისა და სერვისების განხორციელებაა საჭირო თემში უსაფრთხოების მიმართულებით, მოსახლეობას აქვს შემდეგი მოსაზრებები. პასუხები, როგორც ქვემოთ ვნახავთ, საკმაოდ მრავალფეროვანია და ფაქტობრივად ფარავს უსაფრთხოების ყველა კომპონენტს, რომელსაც გაერო-ს განვითარების პროგრამა აღწერს.

- ეკონომიკური გაძლიერება (6 პასუხი);
- სოფლის გაძლიერება ყველა მიმართულებით, ვინაიდან ყველაზე გაჭირვებული სოფელია (6 პაუხი);
- ჯანდაცვის სფეროს მუშაობა ეფექტურად, მისი ხელმისაწვდომობა (6 პასუხი);
- გამართული სამედიცინო პუნქტი (5 პასუხი);
- ცხოვრების პირობების გაუმჯობესებიკენ მიმართული პროგრამები (4 პასუხი);

- სოციალური პროგრამებს განხორციელება (4 პასუხი);
- საოკუპაციო ხაზის უკეთ დაცვა (3 პასუხი);
- სთვალთვალო კამერების დამონტაჟება (3 პასუხი);
- ინტერნეტიზაცია (3 პასუხი);
- სახლების რეაბილიტაცია (3 პასუხი);
- სამართალდამცავების როლის გაძლიერება (2 პასუხი);
- საოკუპაციო ხაზთან მუდმივი პატრულირება;
- სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა;
- დასაქმების ხელშეწყობა;
- ომის შემდგომი შიშისა და სტრესის დაძლევა/ფსიქოლოგის მომსახურეობა;
- ფინანსური დახმარება თითოეული ოჯახისთვის.

შემდეგი შეკითხვის მიზანი იყო სერვისებსა და პროგრამებზე ინფორმირებულობის მაჩვენებლის გამოვლენა მოსახლეობაში. ასევე, სთხოვდნენ რესპონდენტებს, საკუთარი რჩევა გაეზირებინათ ინფორმირებულობისა და ჩართულობის ასამაღლებლად. ამ კითხვაზე 19-მა რესპონდენტმა უპასუხა, რომ არ არიან ინფორმირებულნი არსებული პროგრამების შესახებ და შესაბამისად არც ჩართულნი. ნაწილობრივ ინფორმირებულია 2 რესპონდენტი. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საჭიროებაზე საუბრობს 8 ადამიანი; ინფორმაციის ნაკლებობის მიზეზად ერთი რესპონდენტი უინტერნეტობას ასახელებს; პრობლემის გადაწყვეტის გზად მოსახლეობა მიიჩნევს რომ საჭიროა, ტრენინგ-სემინარების ჩატარება პროგრამების შესახებ, რაც გაზრდის ინფორმირებულობასა და ჩართულობას, ასევე მიიჩნევენ რომ სახელმწიფო სტრუქტურების წამომადგენლები უნდა დაინტერესდნენ სოფლის პრობლემებით, შეხვდნენ მათ პრობლემების ინდენტიფიცირებისათვის და შემდგომ, ქმედითი ნაბიჯების გადადგმისთვის.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

პრობლემის მოგვარებაში სოფლის აზრით უნდა ჩაერონ შემდეგი უწყებები:

- ადგილობრივი თვითმმართველობის უწყებები (18 პასუხი);
- ცენტრალური მთავრობა (8 პასუხი);
- დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (17 პასუხი);
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (7 პასუხი);
- ეკონომიკის სამინისტრო (6 პასუხი);
- სახალხო დამცველის აპარატი (5 პასუხი);

- სამართალდამცავი ორგანოები (4 პასუხი);
- შერიგების სამინისტრო (2 პასუხი);
- ინფრასტრუქტურის სამინისტრო (2 პასუხი);
- არასამთავრობო ორგანიზაციები;
- საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო);

დამატებითი კომენტარები ბლოკში მოსახლეობა უმეტესად კვლავ საკუთარი სოფლის საჭიროებებზე საუბრობს და ითხოვს დახმარებას შესაბამისი უწყებების მხრიდან:

- „ჩვენი სოფლის მოსახლეობას, როგორც ომის შედეგად დაზარალებულებს, გვესაჭიროება მეტი ყურადღება და დახმარება“ (6 პასუხი);
- „ყველას უნდა გვქონდეს წვდომა სოციალურ სერვისებზე“ (5 პასუხი);
- „შიდა მიგრაციის საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სოფლის გაძლირება“ (4 პასუხი);
- „ვთხოვთ ცენტრალურ ხელისუფლებას, გააძლიეროს სოფელი და დაგვეხმაროს“ (3 პასუხი);
- „საჭიროა არსებული პრობლემები შეისწავლონ და მოგვარდეს, რაც შეიძლება მალე“ (2 პასუხი);
- „ხალხი ძალიან გაჭირვეულია, განსაკუთრებით საოკუპაციო ხაზთან“;
- „უსუსურად და დაუცველად გრძნობს მოსახლეობა თავს, ამიტომ მრავალი სტრუქტურა უნდა ჩაერთოდ მუშაობაში, რათა ეფექტურად გადაიჭრას სოფლის მოსახლეობის პრობლემები“.
- „გთხოვთ გაითვალისწინოთ ყველა ის პრობლემა, ვინაიდან ხაოკუპაციო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის მეტად მიშვნელოვანია უსაფრთხო და დაცულად ვიგრძნოთ თავი. ეს ინება ეკონომიკურად, ჯანმრთელობის სიცოცხლის თუ ფსიქოლოგიური წნეხის მხრივ“.
- „2012 წლისი შემდეგ ვითხოვთ დახმარებას, სახლები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, გვაწვიმს, კედლები ინგრევა. ყველა უწყებას მივმართეთ, არავინ გამოჩნდა ჩვენი პატრონი“.

სოფელ ზარდიაანთკარში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილი მაღალი სიმწვავის პრობლემები

#	პრობლემა	რესპონდენტთა რაოდენობა, რომელთაც პრობლემის სიმწვავე	სულ რესპონდენტთა რაოდენობა

		4 ან 5 ქულით შეაფასეს	
1	სიღარიბე/გაჭირვება	22	22
2	ცხოვრების პირობების გაუარესება	22	22
3	გამყოფი ხაზების არსებობა	22	22
4	ვალუტის გაუფასურება	22	22
5	ფასების მკვეთრი ზრდა	22	22
6	უმუშევრობა	22	22
7	კრედიტების გაძვირება	22	22
8	სასმელი წყლის ხარისხი	22	22
9	ოკუპაცია	21	22
10	სავარგულების დაკარგვა	20	22
11	წვდომა განათლებაზე	20	22
12	შიმშილი, არასაკმარისი კვება	18	22
13	სოციალური იზოლაცია	16	22
14	მედიკამენტების დეფიციტი	15	22
15	კოვიდ-19-ით გამოწვეული პანდემია	13	22
16	ვაქცინაციაზე წვდომა	13	22
17	უხარისხო სამედიცინო სერვისი	12	22

სოფელი ზემო ხვითი

„სარწყავი წყლის აქრონის გამო ხეხილის ბაღების გვინადგურება“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 225 კომლი - 905 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). ქვემოთ იხილეთ საყოველთაო აღწერის მონაცემები:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	839	427	412
2014[1]	▼ 627	319	308

კვლევის ფარგლებში სოფელ ზემო ხვითში სულ გამოიკითხა 9 მოსახლე, ყველა მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მათი ასაკი მერყეობა 28-დან 72 წლამდე, საშუალო ასაკით - 44 წელი. უმაღლესი განათლების მქონე 6 ქალი და საშუალო განათლების - 3 რესპონდენტი. მათგან დასაქმებულია 5 ადამიანი, დაუსაქმებელი - 4.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

სოფელ ხვითში გამოიკვეთა შემდეგი მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება უსართხოების სხვადასხვა სფეროს:

- გამყოფ ხაზთან ცხოვრება (9 პასუხი);
- წვრთნები ოკუპირებულ ტერიტორიაზე (5 პასუხი);
- ეკონომიკური სიდუხჭირე (5 პასუხი);
- წვდომა სოციალურ სერვისებზე (3 პასუხი);
- უმუშევრობა (3 პასუხი);
- ახალგაზრდების მიგრაცია (2 პასუხი);
- მიწის ნაკვეთების დაკარგვა;
- „სარწყავი წყლის აქრონის გამო ხეხილის ბაღების გვინადგურება“;
- ცხოვრების პირობების გაუარესება

არსებული პროგრამები და სერვისები

არსებული სერვისებითა და პროგრამებით კმაყოფილების გაზომვისას შემდეგი პასუხები გამოვლინდა: 4 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მუდმივად ხდება პატრულირება საოკუპაციო ხაზთან, რითიც კმაყოფილია. 3 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არსებული

პროგრამებით კმაყოფილია, თუმცა ეს არ არის საკმარისი სოფლის გაძლიერებისთვის; თემის მოსახლეობის უსაფრთხოება დაცულია - აღნიშნავს ორი გამოკითხული. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ აუცილებელი იყო ის, რაც განხორციელდა, თუმცა სოფელი სხვა უამრავი პრობლემის წინაშე კვლავ დგას.

კითხვაზე, თუ რა პროგრამები და სერვისები ესაჭიროება თემს, სოფელ ხვითის მოსახლეობა შემდეგ პასუხებს სცემს: უსაფრთხოების გაზდისთვის, აუცილებელია დამონტაჟდეს საოკუპაციო ხაზთან სათვალთვალო კამერები (2 პასუხი). სხვა მოსაზრებები ეხება უფრო მეტად უსაფრთხოების სოციალურ და ეკონომიკურ ასპექტებს:

- ეკონომიკური გაძლიერება (5 პასუხი);
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (2 პასუხი);
- მატარებლის ხაზის აღდგენა;
- „გვსურს, რო გაკეთდეს გადამამუშავებელი საწარმო, სადაც ადამიანები დასაქმდებიან, ექნებათ შემოსავლის წყარო“;
- „სამუშაო ადგილების შექმნას, რათა არ მოხდეს ახალგაზრდების გადინება სოფლიდან“
- „ინტენეტიზაცია პირველ რიგში, რადგან ონლაინ გაკვეთილებზე ვერ ახერხებენ ბავშვები ჩართვას და ცოდნის მიღებას“;
- თემის გააქტიურების საჭიროება;
- ინფორმაციებზე და სერვისებზე წვდომა.

ინფორმირებულობისა და ჩართულობის შესახებ გამოკითხულთა უმრავლესობა ამბობს, რომ ინფორმირებულობა აქვს სოფელს, თუმცა ჩართულობა უფრო ნაკლები. რესპონდენტის პასუხების მიხედვით, თემის წევრები ესწრებიან სოფლის კრებებს, სადაც განიხილება ინფრასტრუქტურლი პროექტები და ერთვებიან მის განხორციელებაში.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

მოსახლეობა გამოყოფს შემდეგ უწყებებს, რომელთაც უნდა დაევალოს ადამიანის უსაფრთხოების კუთხით გამოვლენილი პრობლემების მოგვარება.

- ეუთოს სადამკვირვებლო მისია (9 პასუხი);
- ადგილობრივი თვითმმართველობა (8 პასუხი);
- არასამთავრობო ორგანიზაციები (6 პასუხი);
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (5 პასუხი);
- თემის მოსახლეობა (4 პასუხი);
- წითელი ჯვარი (3 პასუხი).

დამატებითი კომენტარები:

- „კარგი იქნება მცირე გრანტების არსებობა, ან შეღავათები ფერმერებისთვის მიწის დასამუშავებლად“;
- „ვისურვებ, უფრო დაცულ გარემოში ცხოვრებას“.

სოფელი ნიქოზი

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 305 კომლი 1300 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). ჩატარებული აღწერების მონაცემები წლების მიხედვით იხ. ცხრილში:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	1053	568	485
2014[1]	▼ 643	323	320

სოფელ ნიქოზში სულ გამოიკითხა 23 მოსახლე. მინიმალური ასაკი 23, ხოლო მაქსიმალური 72 წლის ადამიანი. გამოკითხულთა საშუალო ასაკი 48 წელია. რესპონდენტებს შორის მხოლოდ 2 იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი, დანარჩენი 21 რესპონდენტი მდედრობითი სქესისაა. გამოკითხულთაგან 8-ს აქვს საშუალო განათლება, 1-ს პროფესიული, ხოლო 14-ს უმაღლესი განათლება. გამოკითხვისას დასაქმებული იყო 7 რესპონდენტი, ხოლო 16 დაუსაქმებელი.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

პირველ ბლოკში სოფლის მოსახლება გამოყოფს იმ მწვავე და მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც აწუხებს მოსახლეობას უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროებში. ცხადია, ყველაზე ხშირად დასახელებული პრობლემებს შორის არის გამყოფი ხაზის არსებობა (20 პასუხი); გარეშე აგრესია და სავარგულების დაკარგვას ასევე რესპონდენტთა უმრავლესობა ასახელებს. ქვევით მოცემულია სია ყველა იმ მნიშვნელოვანი პრობლემის, რომელიც ამ კითხვის დასმისას გამოვლინდა:

- სოციალურ სერვისებზე მიუწვდომლობა (6 პასუხი);
- ცხოვრების პირობების გაუარესება (4 პასუხი);
- სიღარიბე/გაჭირვება (4 პასუხი);
- გადაადილების შეზღუდვა (4 პასუხი);
- შიმშილი და არასაკმარისი კვება (4 პასუხი);
- უმუშევრობა (4 პასუხი);
- ხელმიუწვდომლობა განათლებაზე (4 პასუხი);
- დაუცველობის პრობლემა (3 პასუხი);
- სროლები წვრთნების დროს (2 პასუხი);
- ფასების მკვეთრი ზრდა (2 პასუხი);

- სარწყავ წყალზე მიუწვდომლობა (2 პასუხი);
- კლიმატის ცვლილება;
- ხანძრები;
- გარემოს დაბინძურება;
- ოჯახური კონფლიქტები;
- კრედიტების გაძვირება;
- სოციალური იზოლაცია;
- გარე განათება;
- გზების რეაბილიტაცია;
- ინტერნეტიზაცია;
- შეჩერებული მატარებელი.

არსებული პროგრამები და სერვისები

ბლოკის პირველი კითხვა ზომავდა კმაყოფილების დონეს იმ სერვისებითა და პროგრამებით, რაც ხორციედებოდა სოფელში/თემში უსაფრთხოების კუთხით. კმაყოფილებას გამოთქვამს 10 რესპონდენტი, თუმცა ასევე აღნინავს, რომ არ არის საკმარისი და მეტი პროექტის დამატებაა საჭირო, საოკუპაციო ხაზთან პატრულირების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამს ასევე 10 რესპონდენტი, თავს დაცულად გრძნობს 5 გამოკითხული. ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ აქვთ ყველა საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფილი ამბულატორია, რითიც კმაყოფილია.

კითხვაზე თუ რა პროგრამები და სერვისები უნდა დაინერგოს უსაფრთხოების მიმართულებით თემის საჭიროებებიდან გამომდინარე, დასახელდა როგორც კონკრეტული, ასევე უფრო ზოგადი საკითხები:

- ადამიანთა შესაძლებლობების გაძლიერება, როგორც სოციალურად, ასევე ეკონომიკურად (7 პასუხი);
- ხელმისაწვდომი სოციალური პროექტები/სერვისები (6 პასუხი);
- სიღარიბის/ უმუშევრობის აღმოფხვრა (6 პასუხი);
- გამყოფი ხაზის გაუქმება (4 პასუხი);
- მატარებლის მოძრაობის აღდგენა (3 პასუხი);
- მცირე გრანტები (3 პასუხი);
- ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (3 პასუხი);
- გზების რეაბილიტაცია (2 პასუხი);
- ტრანსპორტის გრაფიკის მოგვარება (2 პასუხი);

- წვდომა ხარისხიან განათლებაზე (2 პასუხი);
- სავარგულების დაბრუნება (2 პასუხი);
- გარემოს მოწესრიგება დაბინძურებისგან, რაც ადამიანებს/ცხოველებს უქმნის საფრთეს (2 პასუხი);
- მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა (2 პასუხი);
- ინტერნეტიზაცია;
- საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ხელმისაწვდომობა სრულფასოვან საკვებზე;
- თავისუფალ გადაადგილებაზე წვდომა;
- სოფლის მეურნეობაში დახმარება;
- მოსახლეობისთვის ცხოვრების სტიმულის მიცემა;
- გარე განათების დასრულება;
- სამუშაო ადგილების გამონახვა თემისთვის;

ინფორმირებულობისა და ჩართულობის საზომი კითხვის მიხედვით, 10 რესპონდენტი აღნიშნავს რომ ინფორმირებულობა მაღალია და ჩართულობაც არის. 8 რესპონდენტის თქმით, თემის მცხოვრებნი მეტ-ნაკლებად ინფორმირებულნი და ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტებსა თუ პროგრამებში. არასაკმარის ინფორმირებულობაზე საუბრობს 3 გამოკითხული. სხვა პასუხები შემდეგნაირად გამოიყურება:

- „სოფლის მკვიდრნი ჩართულნი არიან ინფრასტრუქტურულ პროექტებში“;
- „თემი ჩართულია იმ პროექტებში, სადაც მათ ჩართვის უფლება და საშუალება აქვთ“;
- „მოსახლეობა მონაწილეობს სოფლის კრებებში, სადაც ხდება პრობლემების გამოვლენა“.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

უსაფთხოების პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები რეპოდენტთა აზრით არიან შემდეგი სტრუქტურები:

- არასამთავრობო ორგანიზაციები (17 პასუხი);
- ადგილობრივი თვითმმართველობა (15 პასუხი);
- სახელმწიფო სრუქტურები (15 პასუხი);
- სადამკვირვებლო მისია (10 პასუხი);
- შინაგან საქმეთა სამინისტრო (7 პასუხი);
- თემის მოსახლეობა (6 პასუხი);

- ევროკავშირი;
- პოლიცია.

დამატებითი კომენტარის ბლოკი შეავსო მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა სოფელ ნიქოზიდან. მან გამოთქვა სურვილი, რომ უსაფრთხოების კუთხით ყოფილიყო მეტი აქტიურობა და ჩართულობა.

სოფელ ნიქოზში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი აქტუალური და მწვავე საკითხები

#	პრობლემა	რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც პრობლემის სიმწვავე 4 ან 5 ქულით შეაფასეს	ჯამში რესპონდენტების რაოდენობა
1	უმუშევრობა	19	19
2	გამყოფი ხაზების არსებობა	19	19
3	ცხოვრების პირობების გაუარესება	15	19
4	ოკუპაცია	15	19
5	ვალუტის გაუფასურება	15	19
6	ფასების მკვეთრი ზრდა	15	19

#	პრობლემა	რესპონდენტების რაოდენობა, რომელთაც პრობლემის სიმწვავე 3 ქულით შეაფასეს	ჯამში რესპონდენტების რაოდენობა
1	წვდომა სოციალურ სერვისებზე	17	19
2	მედიკამენტების დეფიციტი	17	19
3	წვდომა განათლებაზე	15	19
4	სავარგულების დაკარგვა	12	19
5	სიღარიბე/გაჭირვება	11	19

6	შიმშილი, არასაკმარისი კვება	11	19
7	გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვა	11	19
8	კორონავირუსით გამოწვეული პრობლემები	10	19

სოფელი ქერე

„მოლაპარაკებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით
ფორმალური არ უნდა იყოს,
ის უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 286 კომლი - 885 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). საყოველთაო აღწერის მიხედვით მონაცემები გადანაწილებული წლების მიხედვით იხ. ცხრილში:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	811	395	416
2014[1]	▼ 709	345	364

სოფელ ქერეში სულ გამოიკითხა 11 რესპონდენტი, რომელთა ასაკი მერყეობდა 25-დან 60 წლამდე, საშუალო ასაკი 41 წელს შეადგენდა. გამოკითხულთაგან 7 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი იყო, ხოლო 4 მამრობითი სქესის. რესპონდენტთაგან 5-ს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული, 3-ს პროფესიული (ტექნიკუმი) და 3-ს საშუალო განათლება. რესპონდენტთაგან დასაქმებულია 3, ხოლო დაუსაქებელტა რიცხვი 8-ს შეადგენს.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

რესპონდენტები ჩამოთვლიან იმ მწვავე და მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც თემს აწუხებს უსაფთხოების სხვადასხვა სფეროში:

- მედიკამენტების ხელმიუწვდომლობა (6 პასუხი);
- შიშის ფაქტორი (3 პასუხი);
- გადაადგილების შეზღუდვა საკუთარ ნაკვეთში (3 პასუხი);
- გარეშე აგრესია (2 პასუხი);
- ოკუპანტების თავისუფლად გადაადგილების გამო შიში (2 პასუხი);
- გატაცებისა და თავისუფლების აღკვეთის საშიშროება (2 პასუხი);
- ბორდერიზაციის გაგრძელების საფრთხე;
- ოკუპირებულ ტეროტორიაზე გადაადგილების მკაცრი კონტროლი;
- თვალთვალი ოკუპირებული ტერიტორიებიდან;
- ხანძრის საშიშროება;

- ბაღისთვის შხამ-ქიმიკატების ხელმიუწვდომლობა.

არსებული პროგრამები და სერვისები

რესპონდენტებს უნდა შეეფასებინათ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არსებული სერვისებითა და პროგრამებით კმაყოფილების დონე. გამოკითხულთაგან სამი ამბობს, რომ არსებული სერვისები ვერ უზრუვნელყოფენ ადამიანთა უსაფრთხოებას, სამი მათგანი გამოხატავს მეტ-ნაკლებ კმაყოფილებას. რესპონდენტები (4 მათგანი) ახსენებენ მუდმივ პატრულირებასა და ბლოკ საგუშაგოების არსებობას, თუმცა მიიჩნევენ რომ არ არის საკმარისი და აუცილებელია „ახალი და ძლიერი მეთოდების შემუშავება“, „საჭიროა ღონისძიებების გამკაცრება“. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ასევე გამოთქვა წუხილი, რომ მავთხულხლართების არსებობა, ფსიქიკაზე ძალიან უარყოფითად აისახება - „მუდმივი შიშისა და თავდასხმის განცდის გამო ფსიქოლოგიურად დასტრესილია მოსახლეობა“. სოფოლ ქერეში გამოკითხულთაგან მხოლოდ ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ არსებული პროგრამებით სრულად არის კმაყოფილი.

კითხვაზე, თუ რა პროგამები და სერვისები ესაჭიროება თემს უსაფრთხოების კუთხით, რესპონდენტები შემდეგს პასუხობენ: რესპონდენტთა ნაწილი პრობლემის მოგვარებას ხედავს კონფლიქტის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობის ურთერთობის აღდგენაში . „სოფელში ცხოვრობენ ეთნიკურად ოსი ადამიანები. თუ აღდგება ურთიერთობა კონფლიქტის პირას მცხოვრებ ადამიანებს შორის, კონფლიქტიც მოგვარდება“ - ამბობს სოფლის ერთ-ერთი მკვიდრი. რესპონდეტები ითხოვენ, რომ საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, კონტროლი გაძლიერდეს - „გაძლიერდეს კონტროლი ოკუპირებული ტერიტორიებიდან ჩვენკენ მომართულ საფრთხეებზე; ერთ-ერთმა რესპონდენტმა, ასევე, გამოთქვა სურვილი რომ დაიწყოს მეზობელ სახლემწიფოსთან მშვიდობიანი მოლაპარაკებები და ამის საფუძველზე სხვადასხვა ერთობლივი პროექტები წამოიწყონ. პასუხებს შორის მრავალჯერ გამეორდა საკითხი მედიკამენტების შეღავათიან ფასებში შეძენასთან დაკავშირებით, ასევე, მოითხოვენ სოფელში აფთიაქის გახსნას.

შედეგი კითხვა ზომავდა ინფორმირებულობას და ჩართულობის დონეს არსებულ პროგრამებსა და სერვისებში. რესპონდნეტებმა ასევე გამოთქვეს მოსაზრებები, თუ რა უნდა გაკეთდეს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

გამოკითხულთაგან 4 აღნიშნავს, რომ არ არიან ინფორმირებულნი პროგრამების შესახებ. „ჩვენ არაფერს გვეკითხებიან“ (3 პასუხი). სოფლის პასუხისმგებელმა პირმა („სოფლის თავკაცმა“) უნდა უზრუნვეყლოს მოსახლეობის ინფორმირებულობა - ამბობს გამოკითხულთა ნაწილი (4 პასუხი).

გამოკითხულთა დიდი ნაწილი, პრობლემის გამოსწორებას ხედავს ადამიანური ურთიერთობების მოგვარებაში: „ადამიანური ურთიერთოებბის აღდგენა დიდ როლს ითამაშებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში“; „ერებს შორის ურთიერთობა კონფლიქტს დროულად მოაგვარებს, სახელმწიფომ უნდა იმუშაოს ამ მიმართულებით“; „აუცილებელია მეზობელ სახელმწიფოსთან თანამშრომლობა სავაჭრო და მეგობრულ ურთიერთობებში“. რესპონდენტის აზრით, სოფლის დაცარიელებისგან დაცვის მიზნით, აუცილებელია სამუშაო ადგილების შექმნა.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში სოფელი ქერეს მოსახლეობის აზრით უნდა იყვნენ შემდეგი უწყებები/სტრუქტურები:

- ადგილობრივი თვითმმართველობა (5 პასუხი);
- ცენტრალური მთავრობის სტრუქტურები (5 პასუხი);
- სამშვიდობო სადამკვირვებლო მისია (3 პასუხი);
- საერთაშორისო ორგანიზაციები მშვიდობისა და მოლაპარაკების საქმეში (3 პასუხი);
- არასამთავრობო ორგანიზაციები (2 პასუხი);
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
- სოფლის მოსახლეობა (განსაკუთრებულად სოფლის თავკაცი).

სოფელი ქერეს მოსახლეობა იცნობს ასოციაცია „თანხმობის“ საქმიანობას. იცის რომ სხვა, ახლომდებარე სოფლებს ეხმარება პროდუქტებით და ეხმარება შუამავლობით. თუმცა რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათ სოფელში (სოფ. ქერე) ამჟამად არ მოღვაწეობს ეს ორგანიზაცია და სურთ, რომ მათ მიმართაც გამოიჩინონ ყურადღება.

დამატებითი კომენტარი

სოფელი ქერეს მოსახლეობა დამატებითი კომენტარის ბლოკში ძირითადად საუბრობს ოკუპაციასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, საფრთხეებზე და გამოხატავენ მოსაზრებებს პრობლემების მოგვარების თაობაზე:

- „სამშვიდობო საკითხებში შეთანხმება დროულად უნდა იყოს მიღწეული“;

- „უნდა გაძლიერდეს გაერო-სა და ეუთოს სადამკვირვებლო მისიების ჩართულობა, დაიწყოს სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოება“;
- „მოხდეს დროული და სწრაფი რეაგირება მიღწეულ შეთანხმებებზე ადამიანების უსაფრთხოების მხრივ“;
- „თუ დროულად არ მოგვარდა ტერიტორიების დაბრუნება, რისკია იმისა, რომ კიდევ გაგრძელდება ოკუპაცია და ბორდერიზაცია“;
- „მოლაპარაკებები უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ფორმალური არ უნდა იყოს. ის უნდა იყოს შედეგზე ორიენტირებული“;
- „სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულებმა, პასუხისმგებლობით გადაჭრან და მოაგვარონ ყველა პრობლემა, კონფლიქტისპირა მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობისთვის“;
- შეწყდეს ბორდერიზაცია და ოკუპაცია;
- მოგვცენ სესხებზე შეღავათი ბანკებში.

სოფელი კარბი

„დავიღალეთ მოუგვარებელი პრობლემებით,
გვეღირსება კი ნორმალური და მშვიდი ცხოვრება?!“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 320 კომლი - 860 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). ქვემოთ იხილეთ აღწერის შედეგად მიღებული მონაცემები წლების მიხედვით:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[3]	768	366	402
2014[1]	▼ 613	302	311

სოფელ კარბში სულ გამოიკითხა 6 მოსახლე, 3 მდედრობითი და 3 მამრობითი სქესის. მათი ასაკი მერყეობდა 23-დან 64 წლამდე, საშუალო 39 წელი. განათლების მიხედვით გადანაწილება შემდეგნაირია: საშუალო განათლება - 3; პროფესიული (ტექნიკუმი) – 3. არ არის დასაქმებული 3 რესპონდენტი, ხოლო 3 დასაქმებულია.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

სოფელი კარბის მაცხოვრებლები ასახელებენ შემდეგ მწვავე და მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც თემს აწუხებს:

- გადაადგილების შეზღუდვა (6 პასუხი);
- შიშის ფაქტორი (4 პასუხი);
- თავის დაუცველად გრძნობა (2 პასუხი);
- პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება (2 პასუხი);
- „საფრთხეს გვიქმნის თავისუფლად მოხეტიალე ოკუპანტები“;
- „2008 წლის ომის დროს კასეტური ბომბით დაინგრა სახლები და დაიღუპა ადამიანები;
  დღემდე არ არის რესტავრირებული ეს სახლები“.

არსებული პროგრამები და სერვისები

სოფლის მკვიდრნი არ არიან ბოლომდე კმაყოფილნი არსებული სერვისებითა თუ პროგრამებით, რომლებიც უსაფრთხოების სფეროში არსებობს. მათ იციან, რომ გამყოფ

ხაზრან არის მუდმივი პატრულირება და საგუშაგო ბლოკ-პოსტები, თუმცა ეს არ არის საკმარისი, მათი თქმით. გამოკითხულთაგან 3 ამბობს, რომ უნდა შეიქმნას მეტი პროგრამა უსაფრთხოების დაცვისთვის. ორი რესპონდენტი ამბობს, რომ არანაირი პროგრამა არ ხორციელდება, რომელთაც მათ ცხოვრებაზე დადებითი გავლენა ექნებოდა. „ყველა ინსტანცია უძლურია გაატაროს სერიოზული ღონისძიება ადამიანების უსაფრთხოების მხრივ“ - აცხადებს სოფელი კარბის მკვიდრი.

კითხვაზე, თუ რა პროგრამები და სერვისები სჭირდება თემს ამჟამად და უახლოეს მომავალში, გამოკითხულთა პასუხები განსხვავდება:

- გაძლიერდეს დაცვა (4 პასუხი);
- შეჩერდეს ბორდერიზაცია (4 პასუხი);
- მოგვარდეს ადამიანტა გატაცების პრობლემა (2 პასუხი);
- ცილისწამებისა და უფლებების შეზღუდვის აღმოფხვრა;
- დაინერგოს ახალი პროგრამები;
- გაძლიერდეს ზეწოლა საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით;
- „რაც მეტად დაშორდება ერების ურთიერთობა, მეტად მოუგვარებელი იქნება ურთიერთობების საკითხები“;
- გაიხსნას ორმხრივი ურთიერთობა.

მომდევნო კითხვა ინფორმირებულობასა და ჩართულობას ავლენს და ასევე, სთხოვს რესპონდენტებს ასკუთარი მოსაზრებები გაუზიარონ, ინფრომირებულობისა და ჩართულობის გაზრდისთვის. 4 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ მოსახლეობა არ არის ინფორმირებული, შესაბამისად არც ჩართულები არიან. რეკომენდაციის სახით გამოკითხულთაგან 4 აღნიშნავს, რომ აუცილებელია საზღვრების გახსნა, იმისათვის რომ მოსახლეობას შორის აღდგეს ნდობა, ასევე უნდა გაიხსნას სავაჭრო ბაზრობა, რაც ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს: „ერგნეთის ბაზრობამ დროზე ადრე დააახლოვა ადამიანები და აღსდგა ურთიერთობა და ნდობა ერებს შორის. ოჯახები არ უნდა გაიყოს“.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

თუ ვინ უნდა იზრუნოს მოსახლეობის პრობლემების მოგვარებაზე, რესპონდენტებისპასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: სახელმწიფო სტრუქტურებმა (5 პასუხი); სამშვიდობო ორგანიზაციები (2 პასუხი); საერთაშორისო ორგანიზაციები (3 პასუხი); სადამკვირვებლო მისია (2 პასუხი); არასამთავრობო ორგანიზაციები; „მეზობელ სახლემწიფოსთან მოლაპარაკება“.

დამატებითი კომენტარები:

- „წლები მიდის, მაგრამ კონფლიქტი არადა არ მოგვარდა არასწორი პოლიტიკის გამო“;
- „მიეცით ადამიანებს ურთიერთობების საშუალება“;
- „დავიღალეთ მოუგვარებელი პრობლემებით, გვეღირსება კი ნორმალური და მშვიდი ცხოვრება?!“;
- „ვალდებულია სახელმწიფო დაიცვას და უზრუნველყოს ადამიანების ცხოვრებისეული პირობები.“;
- „აღდგეს ურთიერთობა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან საქართველოს გაერთიანების გამო“;
- „არსებული პროგრამები ვერ უზრუნველყოს ადამიანების უფლებების სრულად დაცვას“.

სოფელი კოშკა

„ყოველდღიურად შიშისა და საფრთხის ქვეშ ვგრძნობთ თავს“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 125 კომლი - 482 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). საყოველთაო აღწერის ბოლო შედეგები იხ. ცხრილში:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[2]	305	157	148
2014[1]	▼ 242	131	111

კვლევის ფარგლებში სოფელ კოშკაში სულ გამოიკითხა 9 რესპონდენტი, 9-ვე მდედრობითი სქესის წარმომადგენელი. მინიმალური ასაკი 19, ხოლო მაქსიმალური 60 წელია. ასაკის საშუალო მაჩვენებელი - 44.4 წელი. გამოკითხულთაგან 3-ს აქვს უმაღლესი განათლება, 2-ს პროფესიული (ტექნიკუმი) განათლება, 3 საშუალო განათლებით, ხოლო 1 სტუდენტი. 9 გამოკითხულიდან 8 არ არის დასაქმებული და მხოლოდ ერთი არის.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

რესპონდენტები მრავალ მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემას ახსენებენ, რომელიც დღეს თემს აწუხებს უსაფრთხოების სფეროში: 4 მათგანი ახსენებს მუდმივი შიშისა და დაუცველობის განცდას; ადამიანების გატაცებას ასახელებს 5 რესპონდენტი; მწვავე პრობლემებს შორის მოხვდა მძიმე ტექნიკებიდან სროლის ხმა (4 ადამიანი); 4 ადამიანი ასახელებს ხანძრის საშიშოებას, 2 რესპონდენტი საუბრობს უსაფრთო მიმოსვლის შეუძლებლობაზე საკუთარი მიწის ნაკვეთებთან. რესპონდენტები ასევე საუბრობენ შემდეგ პრობლემებზე:

- ბორდერიზაციის განახლების მუდმივი საფრთხე;
- კონფლიქტის ზონასთან ახლოს ცხოვრება;
- გაურკვევლობის და საფრთხის შეგრძნება, რომელიც დაკავშირებულია საზღვრების გავლების დაუსრულებელ პროცესთან;
- რადიაციის დონე, რომელიც შესაძლოა ვრცელდებოდეს სოფელთან ახლოს განთავსებული რუსული ბაზიდან;
- ოკუპირებული დაუსახლეებლი ტერიტორიებიდან გარეული ცხოველების შემოსევების საშიშროება;
- ფსიქოლოგიური და ფიზიკურ ტრავმა, რომელიც გამოიწვია ოკუპაციამ;

- შეიარაღებული თავდასხმა, თვალთვალი.

არსებული პროგრამები და სერვისები

სერვისებითა და პროგრმებით კმაყოფილების შესახებ შემდეგი პასუხები გამოვლინდა. 9-დან 6 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ საოკუპაციო ხაზთან მიმდინარეობს 24 საათიანი პატრულირება და არსებობს ბლოკ-პოსტები, თუმცა ასევე აღნიშნავენ რომ ეს ღონისძიებები არ არის საკმარისი უსაფრთხოებისთვის. სხვა პროგრამებს ვერ ასახელებენ. 2 რესპონდენტი თავისი კმაყოფილების დონეს აფასებს, როგორც „მეტ-ნაკლებად კმაყოფილი“.

გამოკითხულები ასახელებენ სერვისებს, პროგრამებს, გამოთვამენ მოსაზრებებს იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს სოფელში, რომ მოსახლეობის უსაფრთხოება უკეთესად იყოს დაცული. რესპონდენტები მიიჩნევენ რომ აუცილებელია დამონტაჟდეს სათვალთვალო კამერები ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე ზოლზე და საგუშაგოებზე. ერთ-ერთი რესპონდენტი მიიჩნევს რომ უპირველესია ადამიანების გაცვა გატაცებისგაბ, რისი მიღწევისთვისაც კონტროლი კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს და გაძლიერდეს. გამოკითხულთაგან ერთ-ერთს აქვს მოსაზრება, რომ კოშკა-ქერეს დამაკავშირებელ ტერიტორიაზე კიდევ ერთი ბლოკ-პოსტი განთავსდეს. 2 რესპონდენტი მოითხოვს, რომ შესაბამისი ორგანოები უფრო აქტიურად ჩაერთონ ხალხის უსაფრთხოების დაცვაში, ვინაიდან საფრთზე მაღალია. კონტროლის არეალი უნდა გაიზარდოს და ის ტერიტორიებიც უნდა გაკონტროლდეს, რომელიც ჯერ-ჯერობით არ არის გაკონტროლებული.

სოფლის მკვიდრნი ასევე საუბრობენ მოლაპარაკების მნიშვნელობაზე მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის. იხილეთ რესპონდენტთა პასუხები:

- ურთიერთობების გაძლიერება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებთან (3 პასუხი);
- ადამიანთა შორის ურთიერთობები უფრო მალე მოაგვარებს მშვიდობიანად სახელმწიფოს გაერთიანებას“;
- „აუცილებელია მეზობელ სახელმწიფოსთან მოლაპარაკებები“;
- „გამყოფ ხაზთან მყოფ ქართველ და ოს მოსახლეობას დაეხმარონ, გაუხსნან საზღვრები და აღდგეს მიმოსვლა“.

სერვისებითა და პროექტებით ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს რომ ინფორმაციის გავრცელება არ არის საკმარისი, შესაბამისად, ჩართულობაც დაბალია. რესპონდენტები აღნიშნავენ (3 მათგანი), რომ საჭიროა საჯარო

ადგილას თვალსაჩინოდ გამოიკრას შესაბამისი ინფორმაცია; „ჩატარდეს ტრენინგები, რათა გაიზარდოს მოქალაქეთა ინფორმირებულობა“.

პრობლემების მოგვარებაზე პასუხისმგებელი უწყებები

რესპონდენტები შემდეგ პასუხისმგებელ უწყებებს გამოყოფენ, რომელთაც უნდა მოაგვარონ მათი პრობლემები უსაფრთხოების კუთხით.

- სამთავრობო სტრუქტურები (8 პასუხი);
- სადამკვირვებლო მისია (4 პასუხი);
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური (2 პასუხი);
- პოლიცია (2 პასუხი);
- სხვა ორგანიზაციები (2 პასუხი);
- არასამთავრობო სექტორი;
- ადგილობრივი თვითმმართველობა;
- წითელი ჯვრის ორგანიზაცია;
- *„კონტროლის გაძლიერება უნდა მოხდეს დონორი ორგანიზაციების მხრიდან“.*

დამატებითი კომენტარი:

გამოკითხულები გულწრფელად გამოხატავენ საკუთარ წუხილს და მოითხოვენ დახმარებას:

- „სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს მკაცრი მოთხოვნა ოკუპანტი ქვეყნის მიმართ, რადგან ხშირად არღვევენ კანონს და არ ასრულებენ 6 პუნქტიან ხელშეკრულებას“;
- „უსაფრთხოების კონტროლი გაძლიერდეს და ეკონომიკურად გაძლიერდეს სოფელი“ (4 პასუხი);
- „გრძელდება ბორდერიზაცია, რასაც ვერანაირი სტრუქტურა ვერ უმკლავდება“;
- „მოსახლეობის უმეტესი სასოფლო სამეურნეო ნაკვეთი ოკუპირებულია და ეკონომიკურად ძალიან იმოქმედა თითოეულ ოჯახზე. ყოველდღიურად შიშისა და საფრთხის ქვეშ ვგრძნობთ თავს“;
- „მოსახლეობამ უნდა შეძლოს ურთიერთობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მხოვრებლებთან“.

სოფელი მერეთი

„მინდა ჩემმა შვილებმა
შიშისა და სტრესის გარეშე იცხოვრონ“

2021 წლის მდგომარეობით სოფელში ცხოვრობს 500 კომლი 1250 მოსახლე. (ინფორმაცია მიღებულია ადგილობრივი მუნიციპალიტეტიდან და ადგილობრივი სათემო აქტივისტებისგან). იხ. აღწერის მონაცემები:

აღწერის წელი	მოსახლეობა	კაცი	ქალი
2002[3]	1176	577	599
2014[1]	▼ 966	511	455

სოფელ მერეთში სულ გამოკითხა 8 რესპონდენტი. მათი ასაკი მერყეობდა 21-დან 64 წლის ჩათვლით. ასაკების საშუალო შეადგენდა 38 წელს. გამოკითხულთაგან 6 იყო მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 2 მამრობითი სქესის. უმაღლესი განათლება აქვს მიღებული 5 ადამიანს, 2-ს საშუალო, ხოლო 1-ს პროფესიული განათლება. კითხვაზე ხართ თუ არა დასაქმებული, 4-მა უარყოფითი პასუხი გასცა, 1-მა დადებითი, დანარჩენებმა შეიკავეს თავი პასუხის გაცემისგან.

ადამიანის უსაფრთხოების კუთხით თემის საჭიროებების იდენტიფიცირება

სოფელ მერეთის მოსახლეობა გამოყოფს შემდეგ მნიშვნელოვან და მწვავე პრობლემებს, რომლებიც სოფელს აქვს უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროებში.

- გადაადგილების საფრთხეები (6 პასუხი);
- მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრება (4 პასუხი);
- ბორდერიზაციის არსებობა (2 პასუხი);
- უკანონო თავდასხმა/დაჭერები.(2 პასუხი);
- ბორდერიზაციის განახლებისა და სოფლის დატოვების შიში;
- დაუცველობის შიში;
- სიღარიბე;
- ქალების ჩაგვრა;
- ახალგაზრდების დაუსაქმებლობა;
- სოც მდგომარეობით გამოწვეული ბულინგი მოზარდებში.

არსებული პროგრამები და სერვისები

კითხვაზე, თუ რამდენად არის კმაყოფილი სოფლის მოსახლეობა არსებული სერვისებითა და პროგრამებით უსაფრთხოების სფეროში, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: ნაწილობრივ კმაყოფილი (4 პასუხი); „პოლიციის პატრულირება ხდება მუდმივად და არსებობს ბლოკ-საგუშაგოები, თუმცა საშიშროება მაინც არსებობს“; „რასაც შეუძლია აკეთებს სახელმწიფო“. 5 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ არსებული სერვისები არ არის ეფექტიანი და უნდა დაინერგოს ახალი მიდგომები უსაფრთხოების მიმართულებით: ერთ-ერთი რესპონდენტი საკუთარ წუხილს რიტორიკული კითხვით გამოხატავს: „რა კეთდება, რა შედეგები მოიტანა?!“

შემდეგ კითხვაზე რესპონდენებს უნდა გამოეხატათ საკუთარი მოსაზრებები, თუ რა სერვისები და პროგრამები სჭირდება მათ სოფელს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემების დაძლევისთვის. რესპონდენტებს აქვთ შემდეგი რეკომენდაციები:

- გაძლიერდეს კონტროლი და დაცვა (4 პასუხი);
- ადამიანური ურთიერთობები აღდგეს კონფლიქტის მხარეებს შორის; (3 პასუხი);
- უნდა გაძლიერდეს პოლიცია;
- სათვალთვალო კამერების დამონტაჟება;
- პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე მოხდეს მკაცრი და დროული რეაგირება;
- ოკუპაციის შეჩერება - „სახელმწიფომ აიძულოს ოკუპანტები დატოვონ საქართველოს ტერიტორია“;
- 2008 წლის ომის შეჩერერების 6 პუნქტიანი გეგმის შესრულება;
- საბაზრო ეკონომიკის განვითარება;
- საჭიროა შემუშავდეს ახალი პროგრამები, რომ აღარ მოხდეს ბორდერიზაცია, ხალხის გატაცება, ცილისწამება, თავისუფლების შეზღუდვა;
- ახალგაზრდების მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინონ, რათა თავიდან ავირიდოთ უმუშევრობა და ნარკოტიკების მოხმარება;
- უზრუნველყონ თავისუფლად გადაადგილება, კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება.

ინფორმირებულობასა და ჩართულობასთან დაკავშირებით გამოკითხულთა პოზიცია მსგავსია. მათ უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არ არიან საკმარისად ინფორმირებულნი (5 პასუხი); 2 რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ასეთი პროგრამები არ არსებობს, შესამაბისად არ არიან ჩართულნი. ერთ-ერთი გამოკითხული აღნიშნავს, რომ ინფორმირებულობის გაზრდისთვის შესაძლოა კამპანიის წამოწყება, რის ფარგლებშიც მოსახლეობას დაურიგდება საინფორმაციო ბარათები. ამავე კითხვაზე საპასუხოდ რესპონდენტები მათთვის უმთავრეს პრობლემებსა და მათ მოგვარებაზე საუბრობენ:

- კონფლიქტის მხარეებს შორის აღდგეს ადამიანური ურთიერთობები (3 პასუხი);

- ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შემთხვევაში, კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესდება ორივე მხარე (2 პასუხი);
- სახელმწიფომ აიძულოს ოკუპანტებს დატოვოს ოკუპირებული ტერიტორია (2 პასუხი).

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებაზე, სოფელი მერეთის მოსახლეობის აზრით, შემდეგი უწყებები უნდა იყვენენ პასუხისმგებელნი:

- სახელმწიფო სტრუქტურები (6 პასუხი);
- ეუთოს სადამკვირვებლო მისია (4 პასუხი);
- მსოფლიოს სამშვიდობო სტრუქტურები (4 პასუხი);
- ადგილობრივი თვითმმართველობა (2 პასუხი);
- წითელი ჯვარი (2 პასუხი);
- გაერო;
- შინაგან საქმეთა სამინისტრო;
- დონორი ორგანიზაციები;
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;
- „ახალგაზრდა თაობა (ადგილობრივები) მეტად უნდა იყვნენ ჩართულნი სოფლის პრობლემების მოგვარებაში და ერთეულებრი არ უნდა წყვეტდნენ სოფლის ბედს“.

დამატებითი კომენტარი

სოფელ მერეთის მკვიდრნი გამოხატავენ უსაფრთხოებსთან დაკავშირებით საკუთარ სურვილებს:

- „მონათესავე ერებს შორის აუცილებლად უნდა აღდგეს ურთიერთობები“;
- „გაძლიერდეს კონტროლი რუსეთის ყველა ქცევაზე და ვალდებულება დააკისრონ რუსეთს შეასრულონ 6 პუნქტიანი გეგმა“;
- „მინდა ჩემმა შვილებმა შიშისა და სტრესის გარეშე იცხოვრონ“;
- „ვისურვებდი დროულად მოგვარდეს სამშვიდობო საკითხები“ (2 პასუხი);
- „სასურველია უსაფრთხო ცხოვრება და ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება სტრესისა და შიშის გარეშე“.

შეჯამება

როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ომის შემდეგ 13 წელი გავიდა, ადმინისტრაციული სასაზღვრო (გამყოფი) ხაზის მიმდებარე სოფლების მოსახლეობას მრავალი პრობლემა აწუხებს ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა სფეროში. პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები ყველაზე მწვავეა სოფლის მოსახლეობისთვის. ისინი გულწრფელად ითხოვენ შველას და გამოხატავენ სურვილს, რომ მათაც იცხოვრონ სრულფასოვანი ცხოვრებით და თავი უსაფრთხოდ იგრძნონ. საინტერესო და ყურადსაღები პასუხები გამოვლინდა დამატებითი კომენტარის ბლოკში, სადაც მოსახლეობა ღიად გამოხატავდა საკუთარ სადარდებელსა და სურვილებს. აღსანიშნავია, რომ არაერთი რესპონდენტი პრობლემის ნაწილობრივ მოგვარებად მშვიდობიან მოლაპარაკებებში ხედავს მეზობელ სახელმწიფოსთან და ასევე „მოძმე ერთან“[5]. აღნიშნული კვლევა არაერთ რესპონდენტს მცირედ იმედს უსახავს, რომ მათ მიერ დასახელებული პრობლემები მივა პასუხისმგებელ პირებამდე და დაიწყებენ მოგვარებაზე ზრუნვას.

[5] მოძმე ერი - ასე მოიხსენიებენ კვლევის რესპონდენტები ოსებს.